**ცნებებზე დაფუძნებული სწავლება და საბაზისო უნარების განვითარება საქართველოს სკოლებში**

**თანამედროვე სასწავლო პროცესი საქართველოს სკოლებში**

გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, დღევანდელ საკლასო ოთახებში მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარება ზე სპეციალური ზრუნვა იშვიათი სანახავია. ამასთანავე, ადვილი შესამჩნევია სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ხარვეზები:

- ხშირია გაკვეთილის,საკითხის, თემის სწავლა/სწავლების მიზნების აღრევა ესგ -ში დასახულ მიზნებთან და სტანდარტის შედეგებთან/ინდიკატორებთან; ერთმანეთისგან არაა გამიჯნული მასწავლებლისთვის დასახული მიზნები და მოსწავლეებისთვის დასახული მიზნები.
- ჭირს გაკვეთილის, საკითხის ან თემის სწავლა/სწავლების მიზნებისა და შედეგების ჩამოყალიბება კონკრეტული პედაგოგიკური ვითარებისთვის შესაფერისი სიზუსტითა თუ დეტალიზაციის დონით;
- არ არის გააზრებული კავშირი გაკვეთილის, საკითხის ან თემის სწავლა/სწავლების მიზნებსა და მოსწავლეთა კომპეტენციების შეფასებას შორის;
- ბევრი მასწავლებლისთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანია განმავითარებელი შეფასების არსი და იგი გაკვეთილის ბოლოს ჩასატარებელი ერთჯერადი აქტი ჰგონია.
- ირღვევა პრინციპი, რომ განმსაზღვრელი შეფასება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ჩატარდეს, რაც ახალი მასალის დამუშავება (გააზრება და გამოყენება/განმტკიცება) დასრულდება.
- არ ჩანს შესაბამისობა გაკვეთილის, საკითხის ან თემის სწავლა/სწავლების მიზნებსა და აქტივობებს შორის, აგრეთვე აქტივობებსა და შეფასებას შორის.
- აქტივობები არ არის მწყობრად დალაგებული ისე, რომ მოსწავლემ მათი თანმიმდევრული შესრულების შედეგად მიაღწიოს დასახულ მიზნებს.
- სწავლა/სწავლების პროცესში სისტემატურად არ გამოიყენება კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომ მოსწავლემ მასწავლებლის ფასილიტაციით ააგოს თავისი ცოდნა, დააშენოს ახალი ცოდნა წინარე ცოდნაზე.
- ბევრი მასწავლებელი კმაყოფილდება მოსწავლეთა მიერ სასწავლო მასალის დაზუთხვით და სისტემატურად არ წარმართავს გააზრებულ სწავლაზე ორიენტირებულ აქტივობებს.
- ბევრი მასწავლებელი კმაყოფილდება მის საგანში ნიჭიერი, განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე მოსწავლეების წარმატებით და სისტემატურად არ მიმართავს სპეციალურ ზომებს იმისთვის, რომ ყველა მოსწავლეს მიეცეს წარმატების მიღწევის შესაძლებლობა მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

ყველასთვის ნათელია, რომ ამ ხარვეზების აღმოფხრის გარეშე ვერ მოხერხდება ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვა, მოსწავლის პიროვნული აღზრდისთვის, მისი შემოქმედებითი ძალებისთვის ასპარეზის მიცემა.

საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი და გააზრებულ სწავლაზე ორიენტირებული აქტიური სწავლების პედაგოგიკა ხელს უწყობს, ერთი მხრივ, გონებაში ცოდნის სტრუქტურების ჩამოყალიბებას და, მეორე მხრივ, მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებას. კერძოდ, სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვის შემთხვევაში მოსწავლეები ცოდნის შეძენასთან ერთად ეუფლებიან კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება კი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კომპეტენციებს პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად.

გააზრებული და აქტიური სწავლა/სწავლება ასევე მოიცავს სწავლის პროცესზე ორიენტირებას - მოსწავლეები გააცნობიერებენ სწავლის პროცესში გამოყენებულ სტრატეგიებს და ისწავლიან მათ ეფექტიანად მართვას, ანუ ისწავლიან სწავლას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სწრაფად ცვალებად სამყაროში ადაპტირება და თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრირება.

**მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება**

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება ტრადიციული სწავლებისგან, რომ მასწავლებლის ყველა გადაწყვეტილების საფუძველია მოსწავლეთა საჭიროებები. ასე მიღებული გადაწყვეტილები მთელ სასწავლო პროცესს მოიცავს: სწავლების მეთოდებისა და რესურსების შერჩევას, კლასის მართვას, ინკლუზიური საკლასო გარემოს ჩამოყალიბებას, შეფასებათა სისტემას და სხვა.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ახალი პედაგოგიკური „მოდა“ კი არ არის, არამედ დიდი ხნის ნანატრი შესაძლებლობაა იმისა, რომ მასობრივ განათლებაში მოსწავლეთა ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და მიზნებს გაეწიოს ანგარიში; რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ძალისხმევის შედეგად ამა თუ იმ საგანში აშკარად გამოკვეთილი მიდრეკილებების მოსწავლეებმა მიაღწიონ მაღალ შედეგებს ისე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა საბაზო ცოდნის გარეშე არ დარჩეს (როგორც ეს რამდენიმე ათეული წელია ხდება საქართველოში); და პირიქით, რომ ყოველმა მოსწავლემ დაძლიოს და აითვისოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საბაზო მინიმუმი სკოლაში ისე, რომ გამორჩეული შესაძლებლობების მოსწავლეებს ხელი არ შეეშალოთ საკუთარი სპეციალური საჭიროებებისა და მაღალი მიზნების მიღწევაში.

**სასკოლო განათლების საბაზისო პრინციპები**

მოსწავლეზე ორიენტირებულ სკოლაში მნიშვნელოვანია ოთხი კრიტიკული ფაქტორი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს,
2. სკოლა მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფს უსაფრთხო, თანამშრომლობით გარემოს;
3. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ცნებებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების შესაბამისად;
4. სასწავლო გეგმა აგებულია ცნებებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით.

რა არის ცნებებზე დაფუძნებული სწავლება?



როგორც ეს ზემორე სქემაზეა წარმოდგენილი, ცნებებზე დაფუძნებული სწავლება უნდა დაიწყოს უნარ-ჩვევებისა და ფაქტობრივი ცოდნის საფუძველზე, რომელიც დადგენილია ეროვნული სტანდარტებითა და სასწავლო გეგმით. სწავლისთვის **აზრისა და მიზნის** მისაცემად მასწავლებელი გეგმავს „რეალურ სამყაროსთან“ დაკავშირებულ სასწავლო აქტივობებს, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან. მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში თითქმის თანაბარი ყურადღება ეთმობა როგორც სასწავლო შინაარსს თავისთავად, ისე ცნებებს, რომელთა კერძო გამოხატულებებია შინაარსში დაფიქსირებული ობიექტები, ფაქტები და უნარ-ჩვევები.

შესაბამისად, მასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს ისეთი შემაჯამებელი პროექტი ან აქტივობა, რომლის საშუალებითაც შეაფასებს როგორც მოსწავლეთა ცოდნას, ასევე მათ შესაძლებლობებს - დააკავშირონ ეს ცოდნა „რეალურ სამყაროსთან“. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გარდაქმნან თავისი ცოდნა მოქმედებად.




იმისთვის, რომ მოსწავლეებმა გაითვალისწინონ ის კონტექსტი, რომელშიც ისინი გამოიყენებენ თავიანთ ცოდნასა და მოსაზრებებს, ცნებებზე დაფუძნებული სწავლებაში ცოდნაც „რეალური სამყაროს“ საშუალებითაა მიწოდებული, ოღონდ მოსწავლეებისთვის უნივერსალური თემების გაცნობით და მათი ჩართვით აქტიურ სწავლაში. ცნებებზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს

მოსწავლეებს დაამყარონ კავშირი წინარე გამოცდილებასთან, ხელს უწყობს ნასწავლის უფრო ღრმა გაგებას, მოქმედებს როგორც პლაცდარმი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები თავიანთ ცოდნას შეუსაბამებენ მოქმედებებს.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? ცნებებზე დაფუძნებული სწავლება სხვადასხვა სასწავლო საგნების ინტეგრირებულად, საყოფაცხოვრებო კონტექსტში სწავლების საშუალებით წააქეზებს მოსწავლეებს ღრმად და, ამასთანავე, „როგორც დარგის პრაქტიკოსებმა“ იფიქრონ შინაარსზე და ფაქტებზე. ამგვარად, ცნებებზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს „აიძულებს“ განივითარონ კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი.

რა განსხვავებაა სწავლების ტრადიციულ და ცნებებზე დაფუძნებულ მოდელებს შორის?

ორგანზომილებიანი სწავლება
საკითხებისა და უნარ-ჩვევების
საუძველზე




საპირისპიროდ

ტრადიციული (ორგანზომილებიანი)
სასწავლო გეგმა

სამგანზომილებიანი სწავლება
ცნებების საფუძველზე




ცნებებზე დაფუძნებული (სამგანზომილებიანი) სასწავლო
გეგმა

რით განსხვავდება სამგანზომილებიანი სასწავლო გეგმა ორგანზომილებიანისგან?

| **ტრადიციული (ორგანზომილებიანი) სასწავლო გეგმა** | **ცნებებზე დაფუძნებული (სამგანზომილებიანი) სასწავლო გეგმა** |
|---|---|
| **მიზნები** - შინაარსის დაფარვა, ინფორმაციის ანალიზი და დამახსოვრება. | **მიზნები** - ინტელექტის განვითარება (გონებამ დაამყაროს კავშირები, დაინახოს კანონზომიერებები და გაუმკლავდეს სირთულეების ზრდისა და დაჩქარებული ცვლილებების სამყაროში არსებულ პრობლემებს). |
| **საფუძველი** - ფაქტები და უნარ-ჩვევები. | **საფუძველი** - ცნებები, პრინციპები და განზოგადებები. |
| **შედეგები** - ვერ ასრულებს XXI საუკუნის ინტელექტუალურ მოთხოვნებს, რადგან ფაქტების ტრანსფერი შეუძლებელია, ხოლო ფაქტობრივი ცოდნა ჩაკეტილია დროში, სივრცეში ან ვითარებაში. | **შედეგები** - ასრულებს XXI საუკუნის ინტელექტუალურ მოთხოვნებს, რადგან ცნებებისა და განზოგადებების ტრანსფერი შესაძლებელია. |

**საგნობრივი მატრიცები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისა და ცნებებზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტი, ახალი სკოლის მოდელის მიხედვით, არის საგნობრივი მატრიცა, რომელშიც ერთმანეთთანაა დაკავშირებულია ცნებებზე დაფუძნებული კურიკულუმისა და სწავლების კომპონენტები. მატრიცაში გათვალისწინებულია აგრეთვე ესგ-ის სტრუქტურა და შინაარსი, მისი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მატრიცის საშუალებით შექმნილია სივრცე, რომლის ცარიელი არეების შევსება მოხდება შესაბამისი ელემენტებით - აქტივობებითა და დავალებებით, საკვანძო შეკითხვებით, შეფასების კრიტერიუმებით.

მატრიცა განუწყვეტლივ იხვეწება იმისთვის, რომ ეგებ მატრიცის დახმარებით დაიძლიოს ის ხარვეზები, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. კერძოდ, მატრიცა ამჟამინდელი სახით სწორედ იმისთვისაა წარმოდგენილი, რომ მასწავლებელთა, ექსპერტთა და ტრენერთა ყურადღება მიაპყროს შეუსაბამობებს ესგ მოთხოვნებსა და სასწავლო პროცესს (მაგალითად, გაკვეთილის მიზანსა და აქტივობებს, სწავლების მეთოდებსა და სასწავლო რესურსებს, სწავლებასა და შეფასებას) შორის. მატრიცის შეთავაზების მიზანია ხელი შეუწყოს მათ მოაგვარონ გააზრებული, კონსტრუქტივისტული სწავლა/სწავლების პრობლემა, ყველა მოსწავლეზე მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად ზრუნვის პრობლემა.

ამ მხრივ უდავოა მისი მრავალი ღირსება:

- მატრიცა მასწავლებელს და, მისი საშუალებით, მოსწავლესაც წარმოუჩენს მკაფიო სამიზნე ორიენტირს თემის დამუშავების ფარგლებში - შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებას - და მიზანმიმართულს ხდის სასწავლო პროცესს საშუალოვადიან პერსპექტივაში; აზღვევს ცალკეულ გაკვეთილებსა და მათ ერთობლიობას იმისგან, რომ არ დაემსგავსოს ქაოსური, უგზო-უკვლო აქტივობების ნაძალადევად შეკოწიწებულ სიმრავლეს;
- მატრიცა ეტაპებისა და ეტაპობრივი/საკვანძო შეკითხვების, საშუალედო ნაბიჯების მკაფიო განსაზღვრის საშუალებით ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული, თანმიმდევრული, მოსწავლეებისთვის აზრიანი და განმავითარებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, რომლის აქტივობები განაპირობებს საფეხურეობრივი მიზნების მიღწევას (მაგალითად, სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების ფორმირებას);
- მატრიცა პირველივე გვერდზე მასწავლებლის ერთიან თვალსაწიერში მოაქცევს შორეულ და საშუალედო მიზნებს, აქტივობებსა და შეფასებას, საკითხსა და კონტექსტს, რათა თავიდან იქნას აცილებული შეუსაბამობა მათ შორის და თვალშისაცემი გახდეს თემატური ერთეულის მთლიანობაზე სპეციალური ზრუნვის აუცილებლობა.

ეს მნიშვნელოვანი წვლილია ეფექტური სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის სრულყოფაში, რომლის სქემაც ვიგოცკისა და თანამედროვე პედაგოგიკის სხვა კლასიკოსებს ჰქონდათ მონიშნული:

**სწავლება უახლოესი განვითარების ზონაში (ლ. ვიგოცკი)**

| **აქტუალური განვითარების ამჟამინდელი ზონა** | **უახლოესი განვითარების ზონა** | | **აქტუალური განვითარების ახალი ზონა** |
|---|---|---|---|
| **მოსწავლე** | **მასწავლებელი** | **ერთობლივი** | **მოსწავლე** |
| რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად | დახმარება პედაგოგის, თანატოლის ან გარემოს მხრიდან → | დახმარების მიღებიდან დამოუკიდებელ მუშაობაზე გადასვლა → | რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად ან თანატოლებთან ერთად დაჯგუფებისას |
| **დამოუკიდებელი** | **სასწავლო მიდგომა:**<br>მოდელირებული, გაზიარებული, მართული | | **დამოუკიდებელი** |